დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

2022 წლის 20 ივნისი 16:00 საათი

ქ. დმანისი წმ. ნინოს ქუჩა №41

**გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე: პაატა ყულიაშვილი**

**გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი: თეონა პაპიაშვილი**

**სხდომას ესწრებოდნენ:**

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე- სოფიო ასლამაზაშვილი
საბჭოს წევრი - მაკა ოკმელაშვილი
საბჭოს წევრი- თინათინ ციხელაშვილი
საბჭოს წევრი- მეგი ედიბერიძე
საბჭოს წევრი - ოლეგი გოშუანი
საბჭოს წევრი-მურაზი აბრამიშვილი
საბჭოს წევრი - თეიმურაზ აფრასიძე
საბჭოს წევრი- ინგა მაჭარაშვილი
საბჭოს წევრი- ნინო კავლელაშვილი
საბჭოს წევრი -მარიამი გიგაური
საბჭოს წევრი- ნინო ონანაშვილი

**დღის წესრიგი:**

დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა.

**მოისმინეს** : გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საბჭოს წევრებს წარუდგინა დმანისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა,რომლის ამოცანას წარმოადგენს გაძლიერდეს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი,მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები ქალთა მონაწილეობით და აქტიური ჩართულობით,მოხდეს მუნიციპალიტეტში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრება გენდერულ ჭრილში, სისტემატიზაცია და დამუშავება,ვებგვერდზე განთავსება.

ასევე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის გენდერული კუთხით ცნობიერების დონის ამაღლება, ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით.

**აზრი გამოთქვეს**: მეგი ედიბერიძემ ისაუბრა მუნიციპალიტეტის სოციალური მიმართულების მუნიციპალური პროგრამების გენდერულ ანალიზთან დაკავშირებით.

აღინიშნა, რომ სექსუალური ძალადობა საქართველოში კვლავაც ერთ-ერთი ყველაზე დაფარული დანაშაულია. ქალები ამ თემაზე არ საუბრობენ, რადგან საზოგადოება ხშირად მომხდარში მათვე

ადანაშაულებს. სინამდვილეში კი, დუმილისა და ძალადობრივი წრის გასარღვევად თანაგანცდის გამოვლენა და მსხვერპლის მხარეს დგომა მნიშვნელოვანია.

ასევე მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების(ქალი) მოძიება და დახმარების გაწევა შეძლებისდაგვარად.

**აზრი გამოთქვეს**:ნინო ონანაშვილმა აღნიშნა რომ წარმოადგენს სამედიცინო სფეროს, რის გამოც ბევრ ახალგაზდა ქალთან და დედასთან უწევს ურთიერთობა, სადაც ირკვევა, რომ აუცილებელია მათთვის უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებებისა და იმ სიკეთეების შესახებ რასაც სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები აკეთებენ აღნიშნული მიმართულებით,გენდერული თანასწორობის საკითხებზე უნდა ვიმსჯელოთ საზოგადოების იმ ნაწილთან ერთად, ვისაც უშუალოდ ეხება ეს პრობლემა.

სამოქმედო გეგმის განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის, დებატების ფორმატში.

**აზრი გამოთქვეს:** მ.აბრამიშვილმა, თ.აფრასიძემ რომლებმაც აღნიშნეს რომ გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას ასევე მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას როგორც ქალების ასევე მამაკაცების უფლებები, რათა არ მოხდეს სქესობრივი დისკრიმინაცია.

**გადაწყვიტეს:** აღნიშნული სამოქმედო გეგმის პროექტი განხილვიდან გამომდინარე, დაკორექტირდეს პუნქტობრივად, რათა მიესადაგებოდეს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს,ზუსტად ასახავდეს მოსახლეობის მოთხოვნებს გენდერული კუთხით და შეძლებისდაგვარად მიზანმიმართულად მოხდეს არსებული გამოწვევების სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება,შესაბამისი ღონისძიებების გატარების საფუძველზე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს ოქმი, სამოქმედო გეგმასთან ერთად გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, განხილული და დამტკიცებული იქნას უახლოეს საკრებულოს სხდომაზე.

(დანართი სამოქმედო გეგმა)

**გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე:** პაატა ყულიაშვილი

**გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი:** თეონა პაპიაშვილი